ხვალ პირველი სექტემბერია

კეთილი იყოს მოგზაურობა შენი, ახალო სასწავლო წელო!

პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

31 აგვისტო, პარასკევი 1973

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 204 (15721)

სახელისა და ღირსების საქმე

ვინ იქნება თბილისის, ოლქის, რაიონის, ქალაქის მშრომელთა საოლქო-მობრო დემონსტრაციათა სათავეში, ვინ მოიპოვებს ამის უფლებას?

10 ემრი ღირსშესანიშნავი მოვლენებით სავსეთდება მომდინარე ხუთწლედის მესამე წლის განვლილი პერიოდი. ისე, როგორც მთელი ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა მშრომელმა, საქართველოს მუშათა კლასმა, კოლმეურნე გლეხობამ, ინტელიგენციამ ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება დევიზით: „ხუთწლედის მესამე გადამწყვეტ წელს — დამკვრელური ტემპი“.

სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა სფეროში გამოვლინდენ პირველი გამარჯვებულნი, ფართოვდება ხუთწლედის გმირთა რიგები, რომელთა შრომითი მამაცობა საყოველთაო აღიარებასა და პატივისცემას იმსახურებს.

წლის პირველი ნახევრის კარგი შედეგები სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი განვითარების, საბჭოთა ადამიანების ამ პატრიოტული მისწრაფების შედეგი, რომ განამტკიცონ ქვეყნის ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერება. აფასებდა რა ამ ფაქტორების უდიდეს მნიშვნელობას, ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა: „საკუთარი ქვეყნის, სოციალისტური სამშობლოს სიყვარულზე გამოკავლებულ მაღალ ორგანიზებულ შრომის ენერგიას სასწაულების მოხდენა შეუძლია“.

პარტიის ეკონომიურ პოლიტიკასთან მტკიცედ დაკავშირებული სოციალისტური შეჯიბრება რაც დრო გადის, კიდევ უფრო მასობრივი და საგნობრივი გახდა. იგი მიმდინარეობს შრომისა და ბრძოლის პათოსით აღსავსე ლოზუნგებით: „ბამოვუშვათ მეტი, საუკეთესო ხარისხის პროდუქცია, ნაკლები დანახარჯებით“, „ხვალ ვიმუშაოთ უკეთესად ვიდრე დღეს და ზეგ კიდევ უკეთესად, ვიდრე ხვალ“.

რამდენი თაოსნობა, ინიციატივა, ახალი ცოცხალი საქმე დაიბადა მომდინარე წლის ამ განვლილ თვეებში. რუსთაველმა ქიმიკოსებმა გამოძებნეს ისეთი რეზერვები, რომელთა ამოქმედება საშუალებას იძლევა არსებული მუშახელით წარმატებით შესრულდეს ხუთწლედის დავალება. ეს რეზერვია შრომის ნაყოფიერების ამაღლება. იგი, მოითხოვს — მოწინავის დღევანდელი მიჯნა — ხვალ კოლექტივის ყველა წევრის მიღწევად გადაქცეს.

თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების სათავო საწარმოს ხაქსოვ საამქროში დაიბადა მეტად პატრიოტული ინიციატივა — ამუშაონ უწყვეტი გრაფიკით, და ამით მინიმუმამდე შეამცირონ მანქანების მოცდენები. ამ ღონისძიების განხორციელებით საწარმომ წლის ბოლოსათვის დამატებით უნდა გამოუშვას 260 ათასი გრძივი მეტრი აბრეშუმის ქსოვილი.

კიდევ რამდენი ინიციატივა გაჩნდა საწარმოებში, საკოლმეურნეო მინდვრებზე — ყველგან, სადაც სოციალისტური შეჯიბრების მაორგანიზებელი ცეტხლია დანთებული.

ვეშმარიტად დაუვიწყარი, დიდად ამაღელვებელი და საამაყო იყო წელს თბილისში საპირველმაისო დემონსტრაციის განსხვავებული მონაწილეობის მიღების საპატიო უფლება, რომელიც ჩვენმა მოწინავე მუშებმა, კოლმეურნეებმა, ინტელიგენციის წარმომადგენლებმა მოიპოვეს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის.

მაშინ საპირველმაისო სადღესასწაულო სვლის განსხვავებული საპატიო უფლება მოიპოვეს 1972 წლისა და 1973 წლის პირველი კვარტალის შედეგების მიხედვით სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულებმა — თბილისის 26 კოშმარის რაიონის მშრომელებმა და რესპუბლიკის ქალაქებიდან და რაიონებიდან მოწვეულმა 150-მა მოწინავე ადამიანმა.

ეს იყო შესანიშნავი, მარადდაუვიწყარი სიახლე, რომელმაც დარაზმა მშრომელები წინასამაისო შეჯიბრების ფართოდ გაშლისა და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის.

გაივლის კიდევ ორიოდე თვე და ვიდღესასწაულებთ დიადი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 56-ე წლისთავს.

წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება! — ეს ისეთი ტრადიციული მასობრივი მოძრაობაა, რომელიც ახალ-ახალი გამარჯვებებისათვის შრომითი პათოსით აღანთებს, უწმინდეს პატრიოტულ გრძნობებს აღუმაღლებს ყოველ მშრომელს.

ოქტომბრის დიადი ზეიმის დღეს არამარტო თბილისის მშრომელთა დემონსტრაციის კოლონების წინა ბაზზე უნდა ვიხილოთ სახელოვანი ადამიანები, მშრომელთა საუკეთესო კოლექტივები, რომლებმაც თავიანთი თავდადებული და ნაყოფიერი შრომით ასახელეს საშშობლო და მოიპოვეს ეს საპატიო უფლება.

ეს მაბალითი, როგორც შესანიშნავი ტრადიცია, მტკიცედ უნდა დამკვიდრდეს ყოველი ქალაქისა და რაიონის ცხოვრებაში.

ვინ იქნება ოლქის, რაიონის, ქალაქის საოქტომბრო დემონსტრაციის სათავეში, ვინ მოიპოვებს ამის უფლებას — ეს უნდა იყოს ყოველი კოლექტივის, თვითეული მუშისა თუ კოლმეურნის სახელისა და ღირსების საქმე, მისი პატრიოტული ვალი.

ეს მოითხოვს: კიდევ უფრო მაღლა აეწიოთ შეჯიბრების დროშა, ყოველნაირად გაგაძლიეროთ წარმოების მოცულობის ზრდის ტემპი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის საფუძველზე, ავამაღლოთ პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა თვითეული საწარმოს, საამქროს, უბნის, ბრიგადის მიერ ყველა მაჩვენებლის მიხედვით. საგეგმო დავალებათა შესრულებისათვის სრული დატვირთვით გამოვიყენოთ მანქანები და მოწყობილობანი, ძირეულად გავაუმჯობესოთ პროდუქციის ხარისხი, ავამაღლოთ შრომის ნაყოფიერება, მივაღწიოთ შრომითი და მატერიალური რესურსების უფრო რაციონალურად გამოყენებას; სათავეში ჩავუდგეთ სოფლის მეურნეობის მუშაკთა პოლიტიკურ და შრომითს აქტივობას, დავრაზმოთ ისინი სახალხო-სამეურნეო გეგმისა და ნაკისრი სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებისათვის, იმისათვის, რომ ხუთწლედის გადამწყვეტ წელს სახელმწიფოს მივაყოდოთ 285 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, 300 ათასი ტონა ყურძენი, გემბაზე მეტი მარცვლეული, ბოსტნეული, კარტოფილი, ხილი, ციტრუსები, ხორცი, რძე, კვერცხი და სხვა პროდუქტები.

გამარჯვებულნი შეეხვდეთ დიადი ოქტომბრის დღესასწაულს! — ეს ნიშნავს მუდამ ვზრუნავდეთ ადამიანისათვის, მისი ბედნიერებისათვის, ურყევად ვიცავდეთ პარტიული, სახელმწიფო, შრომითი და საწარმოო დისციპლინის განმტკიცების ურყევ კურსს, ყველაფერს ვაკეთებდეთ იმისათვის, რომ საქართველო გადავაქციოთ სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგისა და მაღალი კულტურის რესპუბლიკად. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ საზოგადოების თვითეული წევრი დაინტერესებული იყოს საზოგადოებრივი წარმოების გადიდებით, სახელმწიფო გეგმისა და ვალდებულებების უთუოდ შესრულებით.

მიიწურა ხუთწლედის გადამწყვეტი წლის მერვე თვე. იმაზე თუ რამდენად წარმატებით იმუშავებენ ქალაქებისა და სოფლების მშრომელები შემდგომ თვეებში, ბევრად არის დამოკიდებული მაჩვენებლები, რომლებითაც ჩვენი რესპუბლიკა შეეგებება ოქტომბრის დიად დღესასწაულს. პარტიულმა ორგანიზაციებმა ახლა საფუძვლიანად უნდა გააანალიზონ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობა, ფართოდ განუმარტონ, აუხსნონ, თუ რა საპატიო მონაწილეობდე საოქტომბრო დღესასწაულში და თანაც იყო ამ დღესასწაულის გახსნის სათავეში.

საბჭოთა ადამიანები ოქტომბრის დიადი დღესასწაულისათვის ყოველთვის ემზადებიან მტკიცე რწმენით, რომ ახალ-ახალ წარმატებებს მიაღწევს ჩვენი დიადი საქმე.

ამ რწმენას ხორცი რომ შეესხას, ფართოდ უნდა გავშალოთ წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება, ყოველდღე მთელი ენერგიით ვიმუშაოთ იმისათვის, რომ მოვიპოვოთ შეჯიბრებაში გამარჯვებულის სახელი, მოწინავე კოლექტივის სახელი, რომელსაც უფლება ექნება საოქტომბრო დემონსტრაციის კოლონების საზეიმო ხვლაში საპატიო ადგილი დაიკავოს — გახსნას მშრომელთა დემონსტრაცია.

ეს საყოველთაო დიდებისა და სახელის საქმეა, შრომითი ფიცია დიდი ოქტომბრისადმი!

ხავერდოვან ‘ კლანტაციებში

ახლა წყალტუბოელი მეჩაიეები უფრო აძლიერებენ მუშაობის ტემპს, რათა ნაკისრი ვალდებულებანი ვადაზე ადრე შეასრულონ. მათი დევიზია: „მეტი და მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთოლი სამშობლოს!“ ამ ლაშქრობაში ღირსეული წვლილი შეიტანეს სოფელ გუმბრის კოლმეურნეობის მეჩაიეებს, რომელთა ვალდებულებაა მოკრეფონ და მრეწველობას ჩააბარონ 425 ტონა ჩაის ნედლეული, ანუ გეგმით გათვალისწინებულზე 45 ტონით მეტი.

კოლმეურნეობაში ბევრია მოწინავე მეჩაიე. მათ შორის სახელი გაითქვა კომკავშირელმა მარინე მელაძე. მან უკვე შეასრულა ნაკისრი ვალდებულება და იმისათვის ამრძვის, რომ კიდევ მოკრიფოს ერთი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ჩაის კრეფის შუა სეზონში დღეში 80 კილოგრამს კრეფდა. იგი კოლმეურნეობის მეჩაიე ახალგაზრდების სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდში დგას და წარმატებით განაგრძობს ჩაის ფოთლის კრეფას. სურათზე: მოწინავე მეჩაიე, კომკავშირელი მარინე მელაძე.

გ. გერსამიას ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ზუთწლედი — ვადამდე!

შეჯიბრებაში გამარჯვებულნი

საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს სამმრემ №24 მოძრავი მექანიზებული კოლონის (უფროსი ს. კოზაევი) კოლექტივმა ნაადალნაყოფიერი შრომის შედეგად მიმდინარე წლის მეორე კვარტალში ახალი წარმატებანი მოიპოვა: სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა 104 პროცენტით შეასრულა, შრომის ნაყოფიერება 8 პროცენტით აამაღლა, მშენებლობის თვითღირებულება — 23 ათასი მანეთით გაიაფა.

მშენებლებმა ამ მაჩვენებლებით გაიმარჯვეს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და სსრ კავშირის სასოფლო მშენებლობის სამინისტროსა და პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია მოიპოვეს. მათ შრომის ტემპი კიდევ უფრო გააძლიერეს წლის მეორე ნახევარში. წვიდი თვის დავალება 111 პროცენტით გაანაღდეს. უკეთესად იშრომეს აგვისტოში.

მეორე კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვა და სსრ კავშირის სასოფლო მშენებლობის სამინისტროსა და პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია მოიპოვა „სასოფლო-მშენებლობსამინისტრის“ ტრესტმა (მმართველი ი. გოგელია). აქ მეორე კვარტალის პროდუქციის რეალიზაციის დავალება 101,4 პროცენტით გაანაღდეს, ხოლო სასაქონლო პროდუქციისა — 103,2 პროცენტით, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით მოგების გეგმას 17 პროცენტით გადააჭარბეს.

ტრესტის კოლექტივმა წლის მეორე ნახევარში კიდევ უფრო გააუმჯობესა მუშაობა და პროდუქციის შვიდი თვის რეალიზაციის დავალება 101,9 პროცენტით შეასრულა, სასაქონლო პროდუქციისა — 104,2 პროცენტით.

მეორე კვარტალის შედეგების მიხედვით საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი დროშები და პირველი ფულადი პრემიები მიენიჭათ № 4 სპეციალურ ტრესტის თბილისის № 22 მოძრავ მექანიზებულ კოლონას და № 5 ტრესტის ოჩამჩირის № 41 მოძრავ მექანიზებულ კოლონას.

მარცვლეული გეგმის გადამეტებით

საგარეჯოელ და მცხეთელ მხვნელ-მთესველთა ნოგათები

● **საგარეჯოს** რაიონში კარგახანია პურეულის მოსავლის აღება დაამთავრეს, მოსავალიც დაამბინავეს და სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს. საგარეჯოელებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 6.826 ტონა პურეულის მარცვალი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4.475 ტონისა.

ახლა შექანიზატორები მინდვრად არიან გასული და ამზადებენ ნიადაგს საშემოდგომო თესვისათვის. ეს რეფერენს აცნობეს პარტიის საგარეჯოს რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა.

● **მცხეთის** რაიონის მხვნელ-მთესველები ხოთწლედის მესამე გადამწყვეტ წელს მარცვლეულის სიუხვისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში რომ ჩაებნენ, იკისრეს სახელმწიფოსათვის მიეყიდათ 5 ათასი ცენტნერი პურეულის მარცვალი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებულ 3.100 ცენტნერისა. ფაქტიურად 29 აგვისტოსათვის სახელმწიფოს მიჰყიდეს 15.400 ცენტნერი მარცვალი და ამით წლიურ გეგმას 12.300 ცენტნერით გადააჭარბეს.

სახელმწიფოსათვის მარცვლის მიყიდვის ვალდებულება დიდი გადაჭარბებით გაანღდეს მუხრანის, ვალიანის, ძალისის, ნატახტარის საბჭოთა მეურნეობებმა. ეს „კომფინსტის“ რეფერენსის აცნობეს საქართველოს კპ მცხეთის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა.

ა. ნ. კოსიგინი ესაუბრა მავრიკის სახელმწიფოს პრემიერ-მინისტრს ს. რამგულამს

30 აგვისტოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო მავრიკის სახელმწიფოს პრემიერ-მინისტრი **ს

პარტიული ცხოვრება

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის X პლენუმის გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში

საქართველოს კომპარტიის X პლენუმის შედეგები და ოლქის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები — ეს საკითხი განიხილა სამხრეთ ოსეთის საოლქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებამ, რომელიც ამ დღეებში გაიმართა.

მომხსენებელმა — პარტიის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. ჯუსოევმა და ყამთის მონაწილე კომუნისტებმა აღნიშნეს, რომ ოლქის პარტიული ორგანიზაციები მთელ თავიანთ საქმიანობას წარმართავენ მეცხრე ხუთწლედის დავალებათა შესასრულებლად.

ოლქის მრეწველობამ გადამეტებით გაანაღდა პროდუქციის რეალიზაციის გასული წლის გეგმები, აგრეთვე საერთო პროდუქციის გამოშვების დავალებანი. ამის ხელი შეუწყო პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებამ. სოციალისტური შეჯიბრების საჯაროობამ, ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობის შემოწმებამ. მოწინავე საწარმოთა შორის პირველ რიგში პლენუმზე დასახელეს ყვაიათოთის საწარმო, სამრეწველო ფაბრიკა, ხე-ტყის კომბინატი.

მაგრამ ზამრეწველო საწარმოთა საქმიანობაში კვლავ სერიოზული ხარვეზებია. ამის შესახებ აქტივის კრებაზე ვრცლად ილაპარაკეს პარტიის ცხინვალის საქალაქო კომიტეტის მდივანმა რ. ნიკურაძემ, ჯავის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ მ. მაგკოევმა, ზონკორის წყალსაცავის მშენებლობის უფროსმა ბ. ინსაროიძემ.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ მრეწველობის ზრდის ტემპი ოლქში როგორც წინა წლებში, ისე მიმდინარე წლის პირველ ნახევარში კვლავ დაბალია. ეს ტემპი ვერ უტოლდება ხუთწლიანი გეგმით დასახულ ამოცანებს. სამხრეთ ოსეთის ხუთმა მსხვილმა საწარმომ ვერ შეასრულა მიმდინარე წლის პირველი ნახევრის დავალებანი, მათ შორის არის ისეთი მნიშვნელოვანი საწარმო, როგორიც ელექტროვიბრაციული მანქანების ქარხანაა.

ამასთანავე დაბალია გამოშვებული პროდუქციის ხარისხი. მიუხედავად იმისა, რომ პარტიული ორგანიზაციები განიხილავენ პროდუქციის ხარისხის ამაღლების საკითხებს, კვლავ ხშირია რეკლამაციები და წუნდებული პროდუქციის უკან დაბრუნების შემთხვევები.

სრულიად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები. წლების მანძილზე აუთვისებელი რჩება კაპიტალური მშენებლისათვის გამოყოფილი თანხები. განსაკუთრებით ჩამორჩენა ბინათმშენებლობა, შვიდი თვის გეგმა მხოლოდ 41 პროცენტით შესრულდა, მოუწესრიგებელია მუშა-მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო პირობები, ცუდად მუშაობენ მუშათა სასადილოები, დაბალია კულტურული მომსახურების დონე მშენებარე ობიექტებზე. ამიტომ საწარმოებსა და მშენებლობებზე არც თუ იშვიათად ვხვდებით შრომის დისციპლინის დარღვევის ფაქტებს.

ლენინგორის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ თ. დურგლოშვილმა, პარტიის ცხინვალის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. თადტაევმა, პოეტმა გ. ჟღენტმა აქტივის კრებაზე თავიანთი გამოსვლები მიუძღვნეს სოფლის მეურნეობის საკითხებს. მათ აღნიშნეს, რომ უკანასკნელ ხანებში საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მიერ განხორციელებულ მთელ რიგ რადიკალურ ღონისძიებათა შედეგად ერთგვარად იმატა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებამ. სამხრეთ ოსეთმა გადამეტებით შეასრულა სახელმწიფოსათვის ხორცლის მიყიდვის დავალება. 1973 წლის პირველი ნახევრის დამზადების გეგმები შესრულდა: რძისა — 107 პროცენტით, კვერცხისა — 206, მატყლისა — 103,5 პროცენტით. იმატა ძროხების წველადობამ. უკეთესი მდგომარეობაა ნამატის მიღებასა და გამოზრდაში.

მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი გადაუჭრელი საკითხია სოფლის მეურნეობაში, იმის გამო, რომ გაზაფხულზე საჭირო ყურადღება არ დაეთმო ნათესების მოვლა-დამუშავებას, ბევრგან დაბალია სიმინდის, შაქრის ჭარხლის, ბოსტნეულის მოსავალი. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მოფიქრებულად ვერ იყენებენ სარწყავ წყალს, მთლიანად დატვირთული როდია ელპური და სუბალჭარი სათიბ-საძოვრები. ფერმაში ნელი ტემპით მიმდინარეობს დაბალპროდუქტიული პირუტყვის გაუმჯობესებულით შეცვლა, ამიტომაც სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის ტემპი, განსაკუთრებით მეცხოველეობაში, უმნიშვნელოა.

პარტიული აქტივის კრებაზე ითქვა, რომ სერიოზული ნაკლოვანებანია ოლქის სავაჭრო, საყოფაცხოვრებო, ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობაში, კადრების შერჩევასა, აღზრდასა და განაწილებაში. კვლავ არადამაკმაყოფილებელია დანაშაულობებთან, განსაკუთრებით კი სამშიშ დანაშაულობებთან ბრძოლა.

კრებამ ყურადღება გამახვილა იმაზე, რომ პარტიული დოკუმენტების გამოცვლამ, რაც იმყამად მიმდინარეობს, ხელი უნდა შეუწყოს კომუნისტთა ძალების კიდევ უფრო გააქტიურებას.

საოლქო პარტიული აქტივის კრებამ ერთსულოვნად მოიწონა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის X პლენუმის გადაწყვეტილებანი და დასახა მათი შესრულებისათვის კონკრეტული ღონისძიებანი.

ი. თედიაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის კ. კ. მარჯანიშვილისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

მათემატიკური მეცნიერების განვითარებაში დიდი დამსახურებისა და დაბადების სამოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს კონსტანტინე კონსტანტინეს-ძე მარჯანიშვილს მიენიჭოს სოციალისტური შრომის გმირის წოდება და გადაეცეს ლენინის ორდენი და ოქროს medali „ნამგალი და უროს“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი, 1973 წ. 28 აგვისტო.

ZII აგვისტოს კამკის საავტომობილო ქარხნის მშენებლობაზე ბოლნისიდან, რუსთავიდან, გორიდან და საქართველოს სხვა კუთხეებიდან გაემგზავრა ახალგაზრდა სპეციალისტთა ჯგუფი. მათ შორის არიან მლესავები, ქვისმთლელები, შოფრები. ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდა მუშები წარმატებით შრომობენ ჩერეპოვეცის მეტალურგიული კომბინატის, ქვემო კამკის ნავთობქიმიური ქარხნის და ქვეყნის სხვა კომკავშირულ მშენებლობებზე.

სურათზე: ახალგაზრდა სპეციალისტთა ჯგუფი, რომელიც საქართველოდან კამკის საავტომობილო ქარხნის მშენებლობაზე გაემგზავრა.

ა. რუსაძის ფოტო (საინფორმის ფოტოქრონიკა).

მივესალმებით, ვულოცავთ!

გამოჩენილი მათემატიკოსი

ჩვენი დიდი თანამემამულის, საბჭოთა თეატრალური ხელოვნების დიდოსტატის რეჟისორ კოტე მარჯანიშვილის ვაჟიშვილი — კონსტანტინე მარჯანიშვილი გამოჩენილი საბჭოთა მათემატიკოსია. მას 70 წელი შეუსრულდა და, როგორც ვხედავთ, საბჭოთა მთავრობამ ჯეროვანად დააფასა მისი ღვაწლი — მიანიჭა მას სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება.

ეს ცნობა, რომელიც პრესაში გამოქვეყნდა, დიდად სასიამოვნოა ყველასათვის, ვინც იცნობს პროფესორ კ. მარჯანიშვილს, საამაყოა იგი საქართველოს მშრომელებისათვის.

პროფესორ კონსტანტინე მარჯანიშვილის ძირითადი სამეცნიერო შრომები ეძღვნება ანალიტიკურ რიცხვთა თეორიის ცენტრალურ და უფროსულს პრობლემებს. ეს შრომები მუდამ მაღალ შეფასებას იმსახურებდნენ.

როგორც ცნობილია, რიცხვთა თეორიის საბჭოთა სამეცნიერო სკოლა მსოფლიოში მოწინავე, ფუძემდებლურ სკოლად არის აღიარებული. სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ საბჭოთა სკოლის ამ მაღალი რეპუტაციის დამკვიდრებაში თვალსაჩინო წვლილი მიუძღვის ჩვენს თანამემამულის. მაგრამ კ. მარჯანიშვილის დამსახურება კიდევ უფრო აამაღლა შემდგომმა გარემოებამაც: რიცხვთა თეორია მეკუთვნება აბსტრაქტული მათემატიკის ისეთ დარგებს, რომლებიც რამდენადმე შორს დგანან უშალო გამოყენების მოთხოვნებისაგან. პროფესორმა მარჯანიშვილმა კი, გაითვალისწინა რა ჩვენი ქვეყნის აღორძინების პერიოდში განსაკუთრებული მნიშვნელობა მათემატიკის გამოყენებითი დარგებისა და მისი საშუალებით ტექნიკის პრობლემების გადაჭრისა, ხელი მოჰკიდა მისთვის ამ ახალ დარგს, და აქაც მნიშვნელოვანი შედეგები მიიღო.

ამასთან დაკავშირებით იგი სხვადასხვა დროს იყო მთელი რიგი სამეცნიერო ლაბორატორიების ხელმძღვანელი და მეთაურობდა განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრას.

უნდა აღინიშნოს პროფესორ კ. მარჯანიშვილის როლი როგორც ნიჭიერი ორგანიზატორის და ხელმძღვანელისა მოსკოვის სტეკლოვის სახელობის ცენტრალური მათემატიკური ინსტიტუტის ცხოვრებაში. დიდი ხნის განმავლობაში იყო იგი ამ ინსტიტუტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი და თავისი დიდი მასწავლებლის, გამოჩენილი მათემატიკოსის აკადემიკოს ი. მ. ვინოგრადოვის თანაშემწე.

გულითადად მივესალმები ღირსეულ თანამემამულეს და კოლეგას და მივულოცავ მაღალ ჯილდოს.

ვუსურვოთ მას დღეგრძელობა და ახალი წარმატებები თავის დიდ მეცნიერულ მოღვაწეობაში ჩვენი სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ.

აკადემიკოსი ვ. კუპრაძე.

სურათზე: სოციალისტური შრომის გმირი კ. მარჯანიშვილი ყვარელში, თავისი მამის კოტე მარჯანიშვილის სახლ-მუზეუმში.

„კომუნისტის“ კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

უგზოურება ვანის გზაზე

რედაქციას უჩივლეს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრი თ. დავითაშვილი

სათაურით „უგზოურება ვანის გზაზე“ ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა კრიტიკული წერილი, რომელიც მხილებული იყო საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ქუთაისის № 3 ტრესტის ავტოსატრანსპორტო საწარმოთა მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი.

ამ წერილთან დაკავშირებით საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრმა თ. დავითაშვილმა გვაცნობა, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები სინამდვილეს შეეფერება.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს კოლეგიამ განიხილა ქუთაისი-საპარსიის მარშრუტზე მომხდარი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა. სამინისტროს კოლეგიამ მკაცრად იმსჯელა ქუთაისის № 3 ტრესტის ავტოსატრანსპორტო საწარმოებში არსებულ დარღვევებზე, მათ გამომწვევ მიზეზებზე.

ხაზი ტექნიკურად გაუმართავი ავტობუსების გაშვებისათვის, შესაბამისი სამედიცინო ცნობების გარეშე მძღოლების სამუშაოზე მიღებისათვის, მძღოლთა შორის დაბალი საწარმოო დისციპლინისათვის და მათი შრომის და დასვენების რეჟიმის დარღვევისათვის 2657 ავტოკოლონის უფროსი ტ. კოპალეიშვილი და მთავარი ინჟინერი გ. გურგენიძე განთავისუფლებული არიან თანამდებობიდან.

2657 ავტოკოლონის მუშაობაზე ჯეროვანი კონტროლის დაუწესებლობისა და ტრესტის დაქვემდებარებულ ავტოსატრანსპორტო საწარმოებში შრომის დაბალი ორგანიზაციისათვის № 3 ტრესტის მთავარი ინჟინერი მ. ყორყოლიანი განთავისუფლებულია თანამდებობიდან.

კოლეგიამ დასახა მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებები არსებული მდგომარეობის უმოკლეს ვადაში გამოსწორებისა და ავტოსატრანსპორტო საწარმოებში მოძრაობის უსაფრთხოების გაძლიერებისა და საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების თავიდან აცილებისათვის, ეფექტური პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებისათვის.

დრო არ იცდის

რედაქციას უჩივლეს თიანეთის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომი

კრიტიკული წერილი სათაურით „დრო არ იცდის“, რომელიც გაზეთ „კომუნისტის“ მიმდინარე წლის 7 აგვისტოს ნომერში დაიბეჭდა, ეხებოდა ი ნაკლოვანებებს, რასაც ადგილი აქვს თიანეთის რაიონში სასკოლო მშენებლობის საქმეში, ამასთან დაკავშირებით თიანეთის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომი გვატყობინებს, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები სინამდვილეს შეეფერება.

წერილი „დრო არ იცდის...“ განხილულ იქნა თიანეთის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის 1973 წლის 8 აგვისტოს სხდომაზე, რომელმაც სწორად სცნო გაზეთის კრიტიკული გამოსვლა და დასახა საჭირო ღონისძიებანი ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად. აღმასკომის გადაწყვეტილებით მტკიცე დავალება მიეცათ როგორც სარემონტო-სამშენებლო უბანს, ისე სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომის თავმჯდომარეებს, სკოლის დირექტორებს, განათლების განყოფილებას და სხვა ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს სასკოლო შენობათა რემონტისა და სამშენებლო სამუშაოების მოკლე ვადაში დამთავრებისათვის.

რაისაბჭოს აღმასკომმა ახალი სასწავლო წლისათვის მზადებაში უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისათვის და საჭირო ზომების მიუღებლობისათვის საყვედურები გადა უცხადა სიმონიანთხევის, ზარიძეების, ხევსურთსოფლის, ღულელების სასოფლო და ხირნის სადაბო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეებს: ზ. ნაკვეთაურს, თ. ცალუღელაშვილს, გ. მათურელს, თ. ყორიაულს და ნ. ნიბლოშვილს.

განათლების განყოფილების გამგეს ე. ოურქაშვილს დაევალა ადმინისტრაციული სასჯელი დაადოს იმ სკოლების დირექტორებს, რომლებმაც გამოიჩინეს დაუდევრობა და უპასუხისმგებლობა სასკოლო შენობათა მომზადებაში.

აღმასკომის გადაწყვეტილებით შექმნილია რაონული კომისია, რომელიც ახორციელებს ღონისძიებებს ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების ყოველმხრივ მომზადების უზრუნველსაყოფად. მდგომარეობა სასკოლო შენობათა ახალი სასწავლო წლისათვის მოსამზადებლად მკვეთრად შეიცვალა.

სოფლის სპეციალისტი

□ როგორი უნდა იყოს სოფლის მეურნეობის სპეციალისტი □ გუშინ რაც ისწავლე, დღეს საკმარისი აღარ არის □ სწავლა სიკვდილამდე შენია!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის რეზოლუციაში და დირექტივებში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ პარტიას უმაღლესი და საშუალო სპეციალიური განათლების დარგში დიდმნიშვნელოვან ამოცანად მიაჩნია მთელი სისტემის შემდგომი სრულყოფა ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის განვითარ ე ბ ის მოთხოვნათა შესაბამისად.

კანონი სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობის საფუძვლების შესახებ სწორედ ამის დადასტურებაა. ეს კანონი უმაღლესი სასწავლებლებისაგან მოითხოვს უზრუნველყონ ისეთი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც თავიანთ სპეციალობასთან ერთად დაეფლებიან იქნებიან მარქსისტულ-ლენინურ თეორიას. ექნებათ მაღალი მორალური თვისებები, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულისა და საბჭოთა პატრიოტიზმის ღრმა გრძნობა.

ცნობილია, რომ სოფლის მეურნეობა სახალხო მეურნეობის სხვა დარგებთან შედარებით მთელი რიგი თავისებურებებით სახასიათდება. აქ საქმე გვაქვს როგორც ეკონომიურ კანონებთან და ბუნებრივ-კლიმატურ კანონებთან. ისე ბუნებისა და ბიოლოგიური კანონების მოქმედების ფართო შესაძლებლობებთან, რასაც სპეციალისტის მომზადების დროს ანგარიში უნდა გაეწიოს. სოფლის მეურნეობის სპეციალისტს, რომელსაც საქმე აქვს მიწასთან, მცენარესთან, ცხოველთან, დიდი ეოდნა და გამოცდილება მოეთხოვება.

სოფლის მეურნეობის ეს თავისებურება თავისთავად მიუთითებს იმაზე, რომ თანამედროვე მსხვილი სასოფლო-სამეურნეო საწარმოების დაგეგმვა და მართვა შეუძლია მხოლოდ ისეთ სპეციალისტს, რომელიც აღჭურვილია ღრმა თეორიული ეოდნითა და პრაქტიკული გამოცდილებით. ახლის გრძნობითა და საქმის სიყვარულით, თარო შემოქმედებითი აქტიურობითა და ორგანიზატორული ნიჭით.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში ამჟამად უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო განათლების მქონნი 5.900-ზე მეტი სპეციალისტია დასაქმებული. მათ შემოქმედებითს მუშაობაზეა დამოკიდებული კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში აგრონომიული, ტექნოლოგიური და ეკონომიური მუშაობის სწორად დაყენება.

პარტიის და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე ჩვენმა რესპუბლიკამ წარმატებს მიაღწია სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებასა და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებაში.

ეს წარმატებები უფრო მეტი იქნებოდა, რომ ეკონომიკისადმი ხელმძღვანელობაში ფლების მანძილზე დაშვებული არ ყოფილიყო სერიოზული შეცდომები.. ამან გარკვეული ზარალი მიაყენა სოფლის მეურნეობასაც. რესპუბლიკაში დაბალი იყო მთელი რიგი კულტურების მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა, დიდია ვენახებისა და ბაღების სიმეჩხერე, დაბალია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენების კოეფიციენტი, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ერთი ნაწილი დაბალრენტაბელურია, არის შრომისა და საფინანსო დისციპლინის დარღვევები.

ახლა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ახორციელებს მეცნიერულად დასაბუთებულ ღონისძიებებს სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი ინტენსიფიკაციისათვის, სოფლის მეურნეობის კულტურათა მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის, წარმოების პროცესების კომპლექსური მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის, ქიმიზაციისა და მელიორაციის ტემპების ზრდისათვის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისათვის.

ამ საქმეში სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, როგორც წარმოების ტექნოლოგიებსა და ორგანიზატორებს, გადამწყვეტი როლი ენიჭებათ, ამიტომ სავსებით სწორად აღინიშნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის X პლენუმზე, — დღეს იმის საშიშროებაა, რომ ძირეულად გადავსინჯოთ და კიდევ უფრო დავუჭიროთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვის მთელი სისტემა.

სპეციალისტების მუშაობის დარგობრივ სტრუქტურაზე გადაყვანამ დადებითი შედეგები გამოიღო. ისინი უშუალოდ ჯახდნენ განყოფილებების, ბრიგადების, ფერმების, სამეურეოების ხელმძღვანელებში, რომლებიც უშუალოდ განაგებენ მატერიალურ-ტექნიკურ და შრომით რესურსებს, არიან საქმის არა მარტო ტექნოლოგები, არამედ ორგანიზატორებიც. ამაზე მიუთითებს ვანის, მახარაძის, ბურჯანის, წითელწყაროს, ბულაჩაურის და მთელი რიგი სხვა რაიონების პრაქტიკა. ამასთან მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ ყველგან ჯერ კიდევ არ მომწიფობილა საამისო პირობები, მსხვილი საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობებში საჭირო ხოლო განყოფილებების, უბნების, საწარმოო ბრიგადების, სპეციალიზებული ფერმების, საკრძალტორო რაზმების, რგოლების, ფუნქციონალური ჯგუფების არსებობა, ამიტომ საჭიროა კვლავაც შევინარჩუნოთ სპეციალისტების მუშაობის სამსაფეხურიანი სისტემა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ სპეციალისტი არა მარტო წარმოების ტექნოლოგი, არამედ მისი ორგანიზატორიც იყოს.

ამიტომ პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებმა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა ყოველმხრივ უნდა ეფიერიოდნენ განამტკიცონ მათი ავტორიტეტი, ეამაღლონ სპეციალისტთა პასუხისმგებლობა ტექნიკური და ტექნოლოგიური პროცესების გაგარებაში, პრაქტიკული ამოცანათა გადაწყვეტაში, სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებაში, სოფლის მეურნეობის მუშაკთა აზოზრდაში.

სოფლის მეურნეობის სპეციალისტი-აგრონომი წარეთვის ცენტრალური ფიგურაა. მას უნდა შეიძლოს ანგარიში გაუწიოს ბუნების ძალების მოქმედებას, იმ შეიჭრა გვალვის თუ ზვიმერ სიცივის, ყინვასა თუ ქარს, სწორედ მოახდინოს მოვლენისადმი რეგულირება და ეფექტის გამოყენებისათვის. ფაქტია, რომ მოსავლიანობისა და პროდუქტიულობის ზრდიდის საქმეში არ არსებობს პირველადი და მეორეული მნიშვნელობის ღონისძიებები. აქ ყველაფერი კომპლექსშია წარმოდგენილი და ხელოვნებაც სწორედ იმაშია, რომ გათვალისწინო ყოველივე ეს.

ყოველ სპეციალისტს კარგად უნდა ესმოდეს, რომ არა თუ ოლქები და რაიონები, არამედ ყოველი მიკრორაიონი და ცალკეული ნაკვეთიც კი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ეს ყველაზე მეტად დამახასიათებელია ჩვენი რესპუბლიკის ბუნებრივი პირობებისათვის.

სოფლის მეურნეობა ვაჟარმოოთ მეცნიერულ საფუძველზე! ეს იმას ნიშნავს, რომ ორმაგ ოა საქმის ცოდნით დავამუშაოთ საერთოდ მიწათმოქმედების, განსაკუთრებით სამთო მიწათმოქმედების აგროტექნიკა, გაეაოქმდესოთ ნიადაგის როგორც ძირითადი, ისე თესვისწინა დამუშავება, ეროზიის საწინააღმდეგოდ ვაბიდოოლად მოვაწყოთ ტერასები, გავაუქნოთ მრავალფლანი ნარგავები: დავნერგოთ მინდვრის, საკვებმოსავლებისა და ეროზიის საწინააღმდეგო თესლბრუნვები. ნიადაგში სასუქები უნდა შევიტანოთ მიკნარისათვის საჭირო საკვები ელემენტების შემცველობისა ოა მოთხოვნილების მიხედვით აგროქიმიური კარტოგრამების შესაბამისად. იქ სადაც ეს შესაძლებელია, უნდა მივიღოთ ორი და სამი მოსავალი; მავნებლების, დაავადებებისა და სარეველების წინააღმდეგ ბრძოლისათვის ოართოდ უნდა გამოვიყენოთ ქიმიური და ბიოლოგიური ღონისძიებები, ჰერბიციდები და შხამქიმიკატები.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოსავლიანობის გეგმების განსაზღვრის დროს გასათვალისწინებელია ნიადაგის ნაყოფიერება და მიწნიერების მიღწევები, გაბედულად უნდა დაინერგოს მოსავლნაყოფიერი ზრდომისათვის მაღალი ინაზოიარება, მატერიალური დინტერესების ლენინური პრინციპები.

ამ საკითხების გადაწყვეტის დროს ბევრი რამ დამოკიდებულია სპეციალისტის პირად თვისებებზე, მის განათლებაზე, გამოცდილებაზე, შემოქმედებითი ხელმძღვანელობისა და კონტროლის უნარზე.

საქმის ინტერესები მოითხოვს მივაღწიოთ იმას, რომ ყოველ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში საწარმოო ერთეულებს სათავეში ედგას სოფლის მეურნეობის კარგი სპეციალისტი, შევიარჩინოთ მუდმივი კადრები, ისინი უზრუნველვყოთ სამუშაო ადგილით, ლიტერატურით, ეპოვატებით, ხელსაწყოებითა და ინვენტარით, აგროლაბორატორიებითა და ტრანსპორტით; მოვაწყოთ კოლმეურნეებისა და მუშების სწავლება სკოლებში, კურსებზე და წრეებში, გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება.

**წარმოების სწრაფი ზრდის და განუწყვეტელი ტექნიკური ეიეორეოლების პირობებში უდიდესი მნიშვნელობა აქვს სპეციალისტების ეიეორეოლ ეამოდგენას. ეს ეიეორეოლ ეამოდგენა ეიეორეოლ ეამოდგენა ეიეორეოლ ეამოდგენა

ბურჟუაზიული იდეოლოგიის გადმონაშთები და მათი დაძლევის გზები

თეორია და პრაქტიკა

I.

მარქსიზმ-ლენინიზმს ფუძემდებლებმა აღმოაჩინეს და თეორიულად დასაბუთეს, რომ კომუნისტური საზოგადოების პირველ ფაზაში — სოციალიზმში გარდუვალია კაპიტალიზმის გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში — როგორც ეკონომიკაში, ისე იდეოლოგიაში. მათ აღწინასწარმეტყველეს, რომ კაპიტალიზმიდან უშუალოდ კომუნიზმზე გადასვლა სოციალიზმის საფეხურის გაუვლელად შეუძლებელია. ისეთი ანტისოციალური მოვლენები, როგორიც არის მოქთაბარობა, მექრთამეობა, მომხვეჭელობა, ქურდობა, ბიუროკრატიზმი, პასიურობა, თვითნებობა, ეგოიზმი, უიდეობა, ამორალიზმი, კარიერიზმი, უსამართლობა არ გაქრებიან კაპიტალიზმის მოსპობასთან ერთად.

ანტისოციალური მოვლენების ძირფესვიანად აღმოფხვრის მიზნით საზოგადოებამ აუცილებლად უნდა გაიაროს კომუნისტური საზოგადოების განვითარების პირველი ფაზა — სოციალიზმი. მხოლოდ სოციალისტური საზოგადოების განვითარებასა და მის თანდათანობით გადასვლას კომუნიზმში შეუძლია გაათავისუფლოს საზოგადოება კაპიტალიზმის გადმონაშთებისაგან.

II.

ეკონომიზმის მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებით დიდ სამუშაოებს წარმოადგენს ბურჟუაზიული იდეოლოგიის გადმონაშთების გამოცოცხლება ზოგიერთი საბჭოთა ადამიანის ცნობიერებაში. თანამედროვე ბურჟუაზიული იდეოლოგია სამია იმიტომ, რომ ის დგას რეაქციის სამსახურში; მისი მიზანია ცალი დასწამოს კაცობრიობის ნათელ მომავალს — მარქსისტულ კომუნიზმს. დაამახინჯოს სოციალისტური ქვეყნების თანამეგობრობა, გააერკელოს ჭორები მარქსიზმ-ლენინიზმის შესახებ. თუ მისი გავლენის ქვეშ მოექცა რომელიმე საბჭოთა ადამიანი, მას ემუქრება მექთახარობის, უიდეობის, მექრთამეობის, პასიურობის, უდისციპლინობის, ამორალიზმის, თვითნებობის და კაპიტალიზმის სხვა სენით დაავადების საშიშროება.

ყალბი იდეური მოტივები ადამიანებს აქცევენ საზოგადოების განვითარების შემფერხებელ ძალად, ხოლო ჭეშმარიტი იდეური მოტივები ადამიანებს აწრთობენ და აყალიბებენ საზოგადოების პროგრესისათვის თავდადებულ მებრძოლებად. მოწინავე რევოლუციური იდეები და თეორიები იქცევიან უდიდეს მატერიალურ ძალად, როცა ისინი მასებს ეუფლებიან.

მაგრამ მარქსიზმ-ლენინიზმის, როგორც გაბატონებული იდეოლოგიის, დიდი როლი რომ ვაჩვენოთ ჩვენს საბჭოთა სოციალისტური საზოგადოების განვითარებაში, აუცილებელია გაირკვეს საკითხი: რა პირობები უწყობენ ხელს ზოგიერთი საბჭოთა ადამიანის ცნობიერებაში კაპიტალისტური იდეოლოგიის გადმონაშთების გამოცოცხლებას, როცა მარქსიზმ-ლენინიზმი ჩვენს ქვეყანაში წარმოადგენს გაბატონებულ სახელმწიფო იდეოლოგიას?

ბურჟუაზიული იდეოლოგიის გადმონაშთების ერთგვარ გამოვლინებასა და გაქტიურებას ხელს უწყობს ბევრი ფაქტორი. საბჭოთა სოციალისტურ საზოგადოებაში ბურჟუაზიული იდეოლოგიის გადმონაშთები გამოცოცხლებას იწყებენ იქ, სადაც უგულებელყოფილია მარქსიზმ-ლენინიზმი როგორც მეცნიერება, სადაც მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავი იდეების სინამდვილეში განხორციელების პრობლემა შეცვლილია უშინაარსო ფრაზებითა და მსჯელობებით ამ იდეების შესახებ. მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების უშინაარსო და დაუსაბუთებელ აზრებამდე დაყვანა აი რა არის სოციალიზმის პირობებში ბურჟუაზიული იდეოლოგიის გადმონაშთების გამოცოცხლების მთავარი და გადამწყვეტი მიზეზი.

ვ. ი. ლენინი ჯერ კიდევ რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში აღნიშნავდა, რომ „სოციალისტური იდეოლოგიის ყოველგვარი დამცირება, მისგან ყოველგვარი ჩამოშორება ნიშნავს იმავე დროს ბურჟუაზიული იდეოლოგიის გაძლიერებას“.

ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება ნიშნავს იმას, რომ მარქსიზმის მეცნიერული პოზიციები კიდევ უფრო მტკიცდება და ფართოვდება. ვ. ი. ლენინის მიხედვით მარქსიზმის როგორც მეცნიერების განხილვა და მარქსიზმის იდეების განხორციელებისადმი ყურადღების გაძლიერება წარმოადგენს მარქსისტების, კომუნისტების უძლეველობის წყაროს, მათი ნებისყოფის ერთიანობისა და შემჭიდროების გადამწყვეტ პირობას.

მარქსიზმის მიმდევართა გამძლეობას, დისციპლინას, სიმტკიცეს, შეუფერებლობას და ნებისყოფის ერთიანობას, ვ. ი. ლენინის მიხედვით, ქმნის მარქსიზმი როგორც მეცნიერული თეორია. საკმარისია აღვილი ექნეს მარქსიზმის მეცნიერული ბუნების უგულებელყოფას, რომ ამან გამოიწვიოს ბურჟუაზიული იდეოლოგიის გაძლიერება თვით სოციალიზმის არსებობის პირობებშიც კი.

სწორედ იდეოლოგიური მუშაობის ამ ლენინური პრინციპით ხელმძღვანელობდა მიმდინარეობენ ბრძოლა ბურჟუაზიულ იდეოლოგიას, ვ. ი. ლენინმა ამასთან ერთად გვიჩვენა, თუ რას ნიშნავს ამ ბრძოლაში მარქსიზმის როგორც მეცნიერების განხილვა და მარქსიზმის იდეებისადმი უსაზღვრო ერთგულება.

ვ. ი. ლენინმა გვიჩვენა, რომ მარქსიზმის როგორც მეცნიერების ერთ-ერთ მთავარ და უმაღლეს ფორმას წარმოადგენს მარქსისტული დიალექტიკა. მარქსიზმის მეცნიერების სიღიადეს ლენინი ხედავდა თვით მარქსისტულ დიალექტიკაში. როგორც ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგი ბრძოლის, ისე მარქსიზმის შემდგომი განვითარების მძლავრ იარაღად მას მიაჩნდა მარქსისტული დიალექტიკის ცოდნა და ამ ცოდნის გამოყენება.

მარქსისტული დიალექტიკა აზროვნების უმაღლესი ფორმაა. მისი მთავარი ამოცანა მეცნიერულად, ღრმად და ყოველმხრივ დაასაბუთოს კომუნიზმის დიადი იდეის განხორციელების აუცილებლობა. მოწინავე კაცობრიობის გაძლიერება წარმოადგენს მარქსისტების, კომუნისტების უძლეველობის წყაროს, მათი ნებისყოფის ერთიანობისა და შემჭიდროების გადამწყვეტ პირობას.

მარქსიზმის მიმდევართა გამძლეობას, დისციპლინას, სიმტკიცეს, შეუფერებლობას და ნებისყოფის ერთიანობას, ვ. ი. ლენინის მიხედვით, ქმნის მარქსიზმი როგორც მეცნიერული თეორია. საკმარისია აღვილი ექნეს მარქსიზმის მეცნიერული ბუნების უგულებელყოფას, რომ ამან გამოიწვიოს ბურჟუაზიული იდეოლოგიის გაძლიერება თვით სოციალიზმის არსებობის პირობებშიც კი.

სტატია და ნამდვილი ადამიანის შეფასების კრიტერიუმი.

პარტიული აქტივის კრებაზე ნეგატიური მოვლენების მოცემული ღრმა ანალიზი ერთხელ კიდევ იდასტურებს ვ. ი. ლენინის დებულების ჭეშმარიტებას იმის შესახებ, რომ მარქსიზმის როგორც მეცნიერული მოძღვრების შეუფასებლობა „ნიშნავს იმავე დროს ბურჟუაზიული იდეოლოგიის გაძლიერებას“.

ვ. ი. ლენინის ამ მითითების მიხედვით პარტიული აქტივის კრებამ დასაბა ღონისძიებები იდეოლოგიური მუშაობის მეცნიერული ბუნების უფრო ამაღლებისა და ამ ცოდნის გამოყენება.

მარქსისტული დიალექტიკა აზროვნების უმაღლესი ფორმაა. მისი მთავარი ამოცანა მეცნიერულად, ღრმად და ყოველმხრივ დაასაბუთოს კომუნიზმის დიადი იდეის განხორციელების აუცილებლობა. მოწინავე კაცობრიობის

III.

უკომპრომისოდ რომ ებრძოდა ბურჟუაზიულ იდეოლოგიას, ვ. ი. ლენინმა ამასთან ერთად ჩვენ, ანალიზი ერთხელ კიდევ დებულების ჭეშმარიტებას ამის შესახებ, რომ მარქსიზმის როგორც მეცნიერული მოძღვრების შეუფასებლობა „ნიშნავს იმავე დროს ბურჟუაზიული იდეოლოგიის გაძლიერებას“.

ვ. ი. ლენინის ამ მითითების მიხედვით პარტიული აქტივის კრებამ დასაბა ღონისძიებები იდეოლოგიური მუშაობის მეცნიერული ბუნების უფრო ამაღლებისა და ამ ცოდნის გამოყენების

ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ სწორედ აღნიშნული დიალექტიკის „მიყენება მთელი პოლიტიკური ეკონომიის გადამუშავებისადმი, პოლიტიკური ეკონომიის დასაბამიდან — ისტორიის, ბუნებისმეტყველების, ფილოსოფიისადმი, მუშათა კლასის პოლიტიკისა და ტაქტიკისადმი, — აი რა აინტერესებთ ყველაზე უფრო მარქსსა და ენგელსს, აი რაში შეაქვთ მათ ყველაზე უფრო არსებითი და ყველაზე უფრო ახალი რამ, აი რაში მდგომარეობს მათი წინგადადგმული გენიალური ნაბიჯი რევოლუციური აზროვნების ისტორიაში“.

ლენინის მიხედვით ასეთი უნდა იყოს ყოველ ახალ ისტორიულ ეპოქაში დამოკიდებულება მარქსისტული დიალექტიკისადმი. ყოველ ახალ ისტორიულ ეპოქაში კომუნიზმის იდეის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ მარქსისტული დიალექტიკის მოთხოვნათა სრული შესაბამისობით. მარქსისტული დიალექტიკის გამოუყენებლად კომუნიზმის იდეისათვის ბრძოლა ზერელე და ცალმხრივია. ასეთი ბრძოლა არ არის დაზღვეული ბურჟუაზიული იდეოლოგიის გავლენისაგან.

ზერელე მარქსისტის თეორიული შეცდომების წყაროს ვ. ი. ლენინი ყოველთვის ეძებდა მარქსისტული დიალექტიკის უცოდინარობაში. ადამიანს, რომელსაც თავი მარქსისტად მოაქვს, მაგრამ მარქსიზმის არსება-დიალექტიკა არ ესმის, ყოველთვის ემუქრება საფრთხე აღმოჩნდეს ბურჟუაზიული იდეოლოგიის ისეთი ნაირსახეობების გავლენის ქვეშ, როგორიც არის **სუბიექტივიზმი და ვოლუნტარიზმი.**

ამ დებულების ჭეშმარიტების დადასტურებას წარმოადგენს იმ შეცდომების ანალიზი, რომლებსაც ამ უკანასკნელ პერიოდში ჰქონდა ადგილი ჩვენს პარტიაში და რომლებსაც ეწოდებათ სუბიექტივიზმი და ვოლუნტარიზმი.

წარსულში დაშვებულ ამ შეცდომებს სუბიექტივიზმი და ვოლუნტარიზმი რომ უწოდა, ამით პარტიამ ნათელყო ხელმძღვანელი კადრებისათვის დიალექტიკური აზროვნების უდიდესი მნიშვნელობა კომუნიზმის მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე. პარტიაში სუბიექტივიზმისა და ვოლუნტარიზმის შეცდომების კრიტიკა თავისთავად აყენებს საკითხს ხელმძღვანელი კადრების მიერ მარქსისტული დიალექტიკის როგორც აზროვნების უმაღლესი ფორმის შეფასებისა და გამოყენების აუცილებლობის შესახებ.

ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მხოლოდ მარქსისტულმა დიალექტიკამ შეძლო როგორც აზროვნების, ისე მოქმედების პროცესში სუბიექტური სიბეცისა და თვითნებობის საშიშროების დაძლევა. ცნობილია, რომ ისტორიულად სუბიექტივიზმის და ვოლუნტარიზმის მოძღვრებანი ერთგვარ დაკავშირებული არიან ზერელე, ცალმხრივ და შეზღუდულ აზროვნებასთან. ამ მოძღვრებათა მიმდევრები ყოველთვის უგულო და არასერიოზულ ადამიანებად იყვნენ მიჩნეულნი.

ასეთივე შეფასებას აძლევენ სუბიექტივიზმსა და ვოლუნტარიზმს მარქსიზმ-ლენინიზმის ფუძემდებლები. სუბიექტივიზმს ვ. ი. ლენინმა „ავადმყოფური ფანტაზია“ უწოდა. სუბიექტივიზმის, ვოლუნტარიზმისა და ზერელე აზროვნების შინაგანი კავშირი მეთითებს იმაზე, რომ მათ ერთ-ერთ საერთო ნიშნად ითვლება შესაძლებელია მხოლოდ მეცნიერული (მარქსისტული) დიალექტიკის ცოდნითა და გამოყენებით.

თუ ხელმძღვანელი პირი საბჭოთა სოციალისტურ საზოგადოებაში მოკლებულია დიალექტიკური აზროვნების კულტურას, ისეთი ხელმძღვანელი აუცილებლად გამომამტყუვნებს სუბიექტივიზმისა და ვოლუნტარიზმის თვისებებს, მას არა მარტო თავში გაუჩნდება დაბნეული აზრები, არამედ საქმეებიც ჩაეშლება, იგი თავის ცხვირს იქით ვერაფერს ვერ დაინახავს, მისი უყურადღების ცენტრში იქნება არა საქმის არსება, არამედ წვრილმანი და უმნიშვნელო მოვლენები. სუბიექტივიზმი და ვოლუნტარიზმი სოციალისტური საზოგადოების არსებობის პირობებში ჩნდება მხოლოდ იქ, სადაც აზროვნების კულტურა და დისციპლინა დაბალია, სადაც უგულებელყოფილია მარქსისტული დიალექტიკა როგორც აზროვნების უმაღლესი ფორმა.

დაუნდობლად ვმობს რა ხელმძღვანელობაში სუბიექტურ სიბეცესა და თვითნებობას, უკულტურობასა და უდისციპლინობას, საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ მიზნად დასახა კომუნიზმის მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე მთლიანად განხორციელოს ვ. ი. ლენინის ანდერძი საბჭოთა ადამიანების, კომუნიზმის მშენებელი კადრების აზროვნების კულტურისა და დისციპლინის კიდევ უფრო ამაღლების შესახებ.

„ჩვენი მოვალეობაა, — ამბობს ლ. ი. ბრეჟნევი, — **კიდევ უფრო სრულად განვახორციელოთ ლენინის ანდერძი, მივაღწიოთ იმას, რომ ყველა მუშა, კოლმეურნე, ინტელიგენტი გახდეს შეგნებული მებრძოლი პარტიის ეკონომიური პოლიტიკის განხორციელებისათვის, მოქმედებდეს როგორც სახელმწიფო მოღვაწე, ამასთან მთლიანად ავლენებდეს თავის ნიჭს, ინიციატივას, სამეურნეო უნარს**“.

არცერთ ბურჟუაზიულ პარტიას არ შეუძლია ასეთი დიდი ამოცანის დასახვა და მისი განხორციელება. მხოლოდ მარქსისტულ-ლენინური პარტია არის სისხლხორცეულად დაინტერესებული იმით რომ სოციალისტური საზოგადოების უმაღლესი მოქალაქე, მოქმედი ფიგურა, ორგანიზატორი სახელმწიფო მოღვაწე და მეურნე — ფუძემდეს დიალექტიკური ნიჭს, რევოლუციურ აზროვნებას, ხელმძღვანელობას.

ამ ამოცანის ერთ-ერთ ასპექტზე ვ. ი. ლენინი ამბობდა: „ჩვენ ვიცხოვრეთ ისეთ ეპოქაში, — ეს ეპოქა ეხება ბურჟუაზიულ ეროვნულ სახელმწიფოთა ფეოდალურ-ბიზანტიურ ტიპებიდან სოციალისტურ ეროვნულ-სახელმწიფოებამდე, — ეს ეპოქა ეხება ამ ეპოქაში ცხოვრებულ ადამიანთა ფსიქიკურ ბუნებას, ეხება ეპოქას, ეხ

ბუნებისმეტყველება

რწმუნებულების სიგელების გადაცემა

ნიქოზია. 29 აგვისტო. (საკადსი). „ძალიან სასიამოვნოა, რომ საბჭოთა კავშირისა და კვიპროსის ურთიერთობა დღენიადაგ გითარდება. ჩვენი საგარეო ურთიერთობა არსებითად გაფართოდა. იგივე შეიძლება ითქვას კულტურულ, ეკონომიურ და სხვა დარგებში თანამშრომლობაზე.

ჩვენ ეფექტიანად გვსურს კიდევ უფრო განვითარდეს და განმტკიცდეს ეს ურთიერთობა და თანამშრომლობა“, — განაცხადა კვიპროსის პრეზიდენტმა მაკარიოსმა კვიპროსის რესპუბლიკაში სსრ კავშირის ელჩის ხ. ტ. ასტაჯინის მიერ რწმუნებულების სიგელების გადაცემის ცერემონიაზე.

„ჩვენ, — ხაზი გაუსვა მაკარიოსმა, — დიდი კმაყოფილებით ვადევნებთ თვალს საბჭოთა კავშირის ინიციატივებს, რომლებიც მიზნად ისახავენ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას და სხვადასხვა სოციალური სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის განმტკიცებას“.

„ვსარგებლობ რა შემთხვევით, — განაცხადა პრეზიდენტმა, — მსურს გადმოგცეთ ჩვენი ხალხის მადლობა, რომ საბჭოთა მთავრობა და ხალხი უცვლელად უჭერენ მხარს კვიპროსის პრობლემის მშვიდობიან გადაწყვეტას, პრობლემისა, რომელსაც საფუძვლად უდევს კვიპროსის დამოუკიდებლობა, სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა. კრიზისის მომენტებში და იმ დროს, როცა კვიპროსს სამხედრო ინტერვენცია ემუქრებოდა გარედან, საბჭოთა კავშირი გადაჭრით ილაშქრებდა განზრახული ჩარევის წინააღმდეგ.

ვერავითარი ჩარევა და ძალის გამოყენება ვერ გადაჭრის კვიპროსის პრობლემას. იგი უნდა გადაიჭრას მოლაპარაკების მაგიდასთან“.

ჩინეთის კომპარტიის X ყრილობა

პეკინი, 29 აგვისტო. (საკადსი). აქ გამოქვეყნდა საინფორმაციო ცნობა, რომელშიც ნათქვამია, რომ 24-28 აგვისტოს პეკინში მიმდინარეობდა ჩინეთის კომპარტიის X ყრილობა.

ყრილობაზე ცენტრალური კომიტეტის სახელით პოლიტიკური ანგარიში გააკეთა ჯოუ ენ-ლაიმ. მოხსენება პარტიის შესახებ ანგარიში ბოლო ოცი წლის ვლილებათა შესახებ წაიკითხა ვან ხუნვენმა (რეგიონის თავმჯდომარის მოადგილემ და შანხაის პარტკომის მდივანმა).

ყრილობამ მიიღო ახალი წესდება და აირჩია პარტიის ხელმძღვანელი ორგანოები. ჩინეთის კომპარტიის ახალ ცენტრალურ კომიტეტში შევიდა ცენტრალური კომიტეტის 195 წევრი და 124 წევრობის კანდიდატი.

ყრილობამ მიიღო რეზოლუცია ლინ ბიაოს პარტიიდან გარიცხვის შესახებ.

ყრილობამ პარტიიდან გარიცხა აგრეთვე პოლიტბიუროს მუდმივი კომიტეტის წევრი ჩენ ბო-და და ჯიანყეიანა მოიხსნა იგი ყველა პარტიული და სახელმწიფო პოსტიდან როგორი „ლინ ბიაოს ანტიპარტიული დაჯგუფების მთავარი წევრი“. საინფორმაციო ცნობაში აღნიშნულია, რომ ყრილობამ მხარი დაუჭირა ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ღონისძიებებს ლინ ბიაოს დაჯგუფების სხვა მთავარ წევრთა მიმართ.

ყრილობა საიუბილო ვითარებაში მიმდინარეობდა.

ამერიკის საზოგადოებრიობა ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტის შესახებ

ნიუ-იორკი. 30 აგვისტო. საკადსის კორესპონდენტი ი. აბლამოვი უწყება:

ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა, ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ ანჯელა დევისმა აღნიშნა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ამერიკაში ჩასვლის უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა და მას უწოდა „სოციალიზმის ახალი სამყაროს წარმომადგენელი, მოღვაწე, რომელიც ზრუნავს ხალხთა მასების ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის, და მშვიდობისათვის ეროვნული განთავისუფლებისათვის მებრძოლთა, იმპერიალისტური ჩაგვრის მსხვერპლთა ძმური დახმარების საქმის ერთგული“.

ცნობილმა ამერიკელმა მეწარმემ ე. ლემბმა ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტის შედეგს უწოდა „ნიშანსვეტი საბჭოთა კავშირ-ამერიკის ფუნდამენტური ურთიერთობის შექმნის გზაზე“. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ „სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს ფართო შესაძლებლობანი აქვთ ვაჭრობის, ეკონომიური, მეცნიერული და კულტურული ურთიერთობის დარგში თანამშრომლობისათვის“. შეეხო რა საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის შეხვედრის საერთაშორისო მნიშვნელობას, ე. ლემბმა განაცხადა: „ლ. ი. ბრეჟნევმა და რ. ნიქსონმა დასახეს მშვიდობიანი თანაარსებობის კონკრეტული გზები. მშვიდობისა და ურთიერთგაგების განმტკიცება მოქმედების დიდებული პროგრამაა“.

ამერიკელი მშრომელები დაინტერესებული არიან საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის წარმატებული განვითარებით, განაცხადა ცნობილმა პროფკავშირულმა მოღვაწემ, ნავსადგურის მტვირთავთა და საწყობის მუშათა პროფკავშირის თავმჯდომარემ გ. ბრიჯსმა. ამერიკელი მუშები, ხაზი გაუსვა მან, „იწონებენ ვაჭრობის გაფართოებას, რაც ორივე ქვეყნის ხალხებს მოუტანს სარგებელს“.

ვაშინგტონის უნივერსიტეტის პროფესორი დ. ფლემინგი მიესალმა საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმებებს, როგორც „ორ დიდ ქვეყნის შორის ეპვებისა და შიშის ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ დიდ წინგადადგმულ ნაბიჯს“. „ახლა, — აღნიშნა მეცნიერმა, — გამოინახა ორივე ქვეყნის ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის საფუძველი“.

ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტის დროს ხელმოწერილ საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმებებს „საარსებო მნიშვნელობა აქვთ ჩვენი ქვეყნებისა და მთელი მსოფლიოს ხალხებისათვის“, — აღნიშნავს ამერიკის შეერთებული შტატების ცნობილი საზოგადო მოღვაწე ჟურნალ „ნიუ უორლდ რევიუს“ რედაქტორი ჯესეკა სმიტი. მან განსაკუთრებით აღნიშნა ატომური ომის თავიდან აცილების შესახებ დადებული შეთანხმების დიდი მნიშვნელობა. აი რატომ არის, განაცხადა შემდეგ ჯ. სმიტმა, რომ „საბჭოთა ხელმძღვანელის ვიზიტს ამერიკის შეერთებულ შტატებში მთელი მსოფლიო მიესალმება, როგორც მშვიდობის განმტკიცების საქმეში შეტანილ საგანგებო მნიშვნელობის წვლილს“.

ჯ. სმიტს ლ. ი. ბრეჟნევის „ვიზიტის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოღწევად“ მიაჩნია „შთაბეჭდილება, რომელიც მან ამერიკელებზე მოახდინა ტელევიზიით გამოსვლისას გულთბილობით, უშუალობით და იუმორით, რომლებიც გამოჩენილი საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწის ღირსებებს ერწყმის“.

ამერიკის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა ეს გამოხატვა „ამერიკელებს საშუალებას მივცემ, ვიგრძნოთ, ... [illegible]

„ცხადია, რომ ასეთი პრეტენზიები მაქვნია“

გაზეთ „ლუმანიტეს“ სტატია

პარიზი. 29 აგვისტო. (საკადსი). გაზეთმა „ლუმანიტემ“ გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც აღნიშნულია, რომ საფრანგეთის რეაქციული პრესა „ხარბად ჩაეფრინდა“ სახარვეზის, აგრეთვე სოლჟენიცინის გამოსვლებს საბჭოთა კავშირისადმი მტრული პროპაგანდისათვის.

„ამბებიათად, რა მიზანს ისახავენ ეს გამოსვლები? — წერს „ლუმანიტე“. დასავლეთის ქვეყნების გაფრთხილებას, გვიპასუხებს სახარეზი, „კრემლის მიერ დადგენილი პირობებით მშვიდობიანი თანაარსებობის“ თაობაზე. „დემოკრატიის“ საკეთილდღეოდ იმპერიალიზმის ჩარევას სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების საშინაო საქმეებში. სოლჟენიცინმა თქვა, რომ სურს „დასავლეთის სამყარომ“ ფართოდ გაავრცელოს მისი გამონათქვამები.

მაგრამ რა მომენტში უნდა გაავრცელოს ეს გამონათქვამები? სწორედ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებისადმი მიძღვნილი თათბირის მეორე ეტაპის გახსნის წინ ჟენევაში.

იმ დროს, როცა შავი თეთრზე უნდა განისაზღვროს ის ძირითადი წესები, რომლებიც ყველამ უნდა დაიცვას მშვიდობის უმაღლესი ინტერესებისათვის, იმ დროს, როცა ვაღწევთ ახალ წარმატებებს, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ დაძაბულობის შენელებისათვის, სახალხო ეკონომიკის, ... [illegible]

თეთრი სახლის განცხადება

ვაშინგტონი, 30 აგვისტო. (საკადსი). ამერიკის შეერთებული შტატების საოჯახო მოსამართლემ გამოიტანა დადგენილება, რომელიც ავალებს პრეზიდენტ რ. ნიქსონს გასაცნობად წარმოადგინოს თეთრი სახლის თანამშრომლებთან მისი საუბრების მაგნიტოფონზე ჩანაწერები. ეს გადაწყვეტილება მიღებულია სარჩელის გამო, რომელიც სასამართლოში შეიტანა იუსტიციის სამინისტროს სპეციალურმა პროკურორმა. იგი ახლა იძებს ეძიებს „ფოდებული „უოტერ ჰეიტის საქმეს“.

ამასთან დაკავშირებით თეთრმა სახლმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელიც შეიცავს უარს მაგნიტოფონის ჩანაწერების წარდგენაზე. ამ ჩანაწერების მოსმენაც კი მოსამართლის კაბინეტში, ნათქვამია განცხადებაში, შეუთავსებელი იქნებოდა იმის აუცილებლობასთან, რომ საიდუმლოდ იქნეს დაცული ამერიკის შეერთებული შტატების, როგორც ახლანდელი, ისე მომავალი პრეზიდენტების კერძო საუბრები.

განცხადებაში ნათქვამია, რომ თეთრი სახლის იურისტები ამჟამად სწავლობენ სასოჯახო მოსამართლის გადაწყვეტილების გამო აპელაციის შეტანის ლეგალურობას.

უკანასკნელ პრეს-კონფერენციაზე გამოსვლისას პრეზიდენტმა რ. ნიქსონმა განაცხადა, რომ მაგნიტოფონის ფირების გადაცემა განსაკუთრებულ არღვევს კონფიდენციალობის პრინციპს. პრეზიდენტმა რომ ეფექტიანად შეასრულოს თავისი მოვალეობანი, თქვა რ. ნიქსონმა, მას უნდა შეეძლოს არ დაარღვიოს კონფიდენციალობის პრინციპი.

საკოორდინაციო კომიტეტმა შეუერთა ლაინეი

ჟენევა, 29 აგვისტო. (საკადსი). დღეს ჟენევაში მუშაობა დაიწყო ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობისადმი მიძღვნილი თათბირის მეორე ეტაპის საკოორდინაციო კომიტეტმა.

საკოორდინაციო კომიტეტში საბჭოთა წარმომადგენელია სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ა. გ. კოვალოვი.

პირველ სხდომაზე მონაწილეთ მისასალმებელი სიტყვით მიმართა შვეიცარიის პოლიტიკური დეპარტამენტის უფროსმა პ. გრაბერმა.

ხელისუფალნი ანგარიშს უსწორებენ

ნიუ-იორკი, 29 აგვისტო. (საკადსი). საოლქო მოსამართლემ ჰარისონმა განაცხადა, ჩემს წინააღმდეგ „საქმე“ იმიტომ შეაკოწიწეს, რომ ჯონ კენედის მკვლელობის გარემოებათა გარკვევა ეცადეო. ახლა ახალ ორლეანში გრძელდება ჰარისონის გასამართლება, რომელსაც ბრალად ედება „ერთამის ალება“ და „არალეგალური სამორნო ბიზნესის მფარველობა“.

ჰარისონის დევნა დაიწყო ჯერ კიდევ 1967 წელს, როცა მან ეჭვქვეშ დააყენა უორენის ოფიციალური კომისიის დასკვნები პრეზიდენტ ჯონ კენედის მკვლელობის გარემოებათა გამო და დამოუკიდებლად დაიწყო ამ დანაშაულის გამოძიება. ჰარისონი აგროვებდა მასალებს, ცდილობდა დამტკიცებინა ულტრამემარჯვენე ძალების ფართო შეთქმულების არსებობა კენედის მკვლელობის მიზნით.

მაგალითად, 1967 წლის ივნისში გაზეთი „ნიუსდეიმი“ მოიყვანეს ჰარისონის სიტყვები ამის შესახებ, რომ მასზე „ფედერალურ ხელისუფალთ უდიდესი ზეგავლენა მოუხდენიათ“, რათა

ამას წინათ ბავანაში გაიმართა ურუგვაის ხელისუფალთა რეპრესიების საწინააღმდეგო პროტესტის მიტინგი. ქუბას დედაქალაქის ათასობით მშრომელი მოვიდა მიტინგზე, რომ გამოეთქვა თავისი სოლიდარობა ურუგვაის მუშებთან, მხარი დაეჭირა მათი მოთხოვნისათვის პოლიტიკურ პატიმართა განთავისუფლების შესახებ. სურათზე: მიტინგის დროს.

პრესა ლატინა — საკადსის ფოტო.

ჩილეს ამბები

სანტიაგო, 30 აგვისტო. (საკადსი). ჩილეს პრეზიდენტმა სალვადორ ალიენდემ გამოაცხადა ახალი დანიშვნები რესპუბლიკის მთავრობაში. შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშნულია კარლოს ბრიონესი, ეროვნული თავდაცვის მინისტრად ორლანდო ლეტელიერი. ფინანსთა მინისტრის პოსტზე დანიშნულია კონტრ-ადმირალი დანიელ არეიანო, სამთამადნო მრეწველობის მინისტრად გენერალი როლანდო გონსალესი. მემარცხენე ქრისტიანთა პარტიის წევრი პედრო ფელიპე რამირესი, რომელიც აქამდე სამთამადნო მრეწველობის მინისტრი იყო, გახდა საბინაო და საქალაქო მშენებლობის მინისტრი. რადიკალი მარიო ლაგოსი დაინიშნა ჯანმრთელობის დაცვის მინისტრად.

ყველა დანარჩენმა მინისტრმა, მათ შორის კომუნისტური პარტიის წარმომადგენელმა მინისტრებმა შეინარჩუნეს თავიანთი პოსტები.

კაბინეტის ახალ წევრთა ფიცის დადების ცერემონიაზე გამოსვლისას პრეზიდენტმა ს. ალიენდემ თქვა, რომ მთავრობის ძირითად ამოცანად კვლავინდებურად რჩება სამოქალაქო ომის თავიდან აცილება და რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფა. მან აღნიშნა, აგრეთვე, რომ რეაქციულმა ძალებმა, რომლებიც ქვეყნის კანონიერი მთავრობის წინააღმდეგ ილაშქრებენ, კიდევ უფრო გააძლიერეს თავიანთი ბრძოლები. ეს ძალები, აღნიშნა სახელმწიფოს მეთაურმა, პოლიტიკური მიზნით აწყობენ გაფიცვებს და რესპუბლიკის პრეზიდენტის გადადგომასაც კი მოითხოვენ. მე გადაჭრით უარვყოფ რეაქციონერთა თავხედურ მოთხოვნებს. ქვეყანაში დაწყებულ რევოლუციური გარდაქმნების პროცესს ვერ შეაჩერებს ვერც ტერორი, ვერც ფაშისტთა შექარა, განაცხადა ს. ალიენდემ.

შემდეგ სახელმწიფოს მეთაურმა აღნიშნა ის უდიდესი ზარალი, რომელსაც ჩილეს ეკონომიკას აყენებს სატვირთო ავტომობილების მფლობელთა უკანონო გაფიცვა, მოიხსენია ფაშისტური ტერორის მსხვერპლნი, რომლებიც ამ დღეებში დაიღუპნენ, და თქვა, რომ წყვეტს მოლაპარაკებას გაფიცულ ტრანსპორტის მუშაკებთან. თუ ისინი არ დაეთანხმებიან მთავრობის პირობებს, მათ წინააღმდეგ კანონით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება განხორციელდება.

დასასრულ პრეზიდენტმა სალვადორ ალიენდემ რესპუბლიკის დემოკრატიულ ძალებს მოუწოდა ყველი ღონე იხმაროს, რათა რეაქციონერებს არ გაეჩაღებინოს სამოქალაქო ომი. მთავრობაში მომხდარ ცვლილებათა გამოცხადების შემდეგ ჩილეს დედაქალაქში გაიმართა მრავალათასიანი მიტინგი პრეზიდენტ სალვადორ ალიენდეს მთავრობის მხარდასაჭერად. ჩილეს მშრომელთა ერთიანი პროფცენტრის მოწოდებით სანტიაგოელი მუშა-მოსამსახურენი გამოვიდნენ ქ

აფხაზეთში

კულტურული ცხოვრების დღიური

საკავშირო კრემია

აპ სახიხარულო ცნობა მოვიდა მოსკოვიდან. საბჭოთა ხელოვნების დამყარების 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ეროვნული დრამატურგიის საკავშირო დათვალიერებაში სობუმის ს. ჯანბას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის აფხაზურმა დასმა, რომელმაც დადგა უკრაინელი კლასიკოსის ლესია უკრაინკას „ტყის სიმღერა“, მიიღო მეორე საკავშირო პრემია და 2.500 მანეთი ფულადი ჯილდო.

მიღებულია აგრეთვე დიპლომი საბჭოთა კავშირის კულტურის სამინისტროდან, რომელშიც აფხაზურ თეატრს ულოცავენ ამ შემოქმედებითს გამარჯვებას.

ქრონიკა

... ...

ამ ცოტა ხნის წინათ აფხაზეთის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დასახაურეულმა ანსამბლმა გასტროლები დაიმთავრა უკრაინაში.

ანსამბლს პირველი შეხვედრა ჰქონდა ზაპოროჟიეს ოლქის ქალაქ მელიტოპოლში, შემდეგ კონცერტები გამართა ქალაქებში დონეცკსა და ვოროშილოვგრადში. სამახსოვრო იყო შეხვედრა ჭ. კომუნარსკის მეფოლადეებთან.

აფხაზეთის წარგზავნილებმა კონცერტები გამართეს ოდესის „მწვანე თეატრსა“ და შევჩენკოს სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობაში. ოდესელებს მოეწონათ ანსამბლის მიერ შესრულებული სიმღერები და ცეკვები.

მალე აფხაზეთის ხიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი საგასტროლოდ გაემგზავრება აჟარასა და ოსეთში.

ეცნობიან აფხაზ მწერლებს

აფხაზ მწერალთა შემოქმედებისადმი დიდ ინტერესს იჩენენ აქ დასასვენებლად ჩამოსული მრავალრიცხოვანი სტუმრები.

აფხაზეთის სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობი ე. ვლასოვი ამას წინათ ეწვია სოხუმის მოსკოვის ოლქის საპაერო დაცვის სანატორიუმის დამსვენებლებს და ესაუბრა მათ აფხაზი მწერლების დიმიტრი გულიას, ივანე პაპასკირის, გიორგი გულიას, ივანე თარბას, მიხელ ლაკერბაიას ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. დამსვენებლებმა დიდი ინტერესით მოისმინეს აგრეთვე აღნიშნული მწერლების ცალკეული ნაწარმოებები, რომლებიც წაიკითხა ე. ვლასოვმა.

სანატორიუმის ბიბლიოთეკაში მოწყობილი იყო აფხაზეთის მწერალთა წიგნების გამოფენა.

გასტროლებიდან დაბრუნდნენ

გასტროლებიდან დაბრუნდა სოხუმის ს. ჯანბას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის ქართული დასი.

თეატრმა თავისი ხელოვნება უწვენა ტყიბულის მეშახტეებს, ზუგდიდის, სამტრედიისა და სხვა რაიონების მშრომელებს.

თეატრს საგასტროლო რეპერტუარში ჰქონდა თავისი სა უკეთესო დადგმები „სანამ ურემი გადაბრუნდება“, „ასამარე“, „მესამე სიტყვა“, „სიყვარული და სტატისტიკა“, „პროვინციელი ქალიშვილი“, „მაითან ხიხო“ და სხვები.

ი. გოგეჩია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.
ქ. სოხუმი.



ეცხეთაში დამთავრდა მშენებლობა ორიგინალური არქიტექტურის ახალი ფართოეკრანიანი, 400 მაყურებლის ადგილიანი კინოთეატრისა, რომელიც საეკსპლოატაციოდ გადაეცა. იგი აგებულია არქიტექტორების ტ. ჯაბუას, ბ. ანდღულაძის, კ. მემანიშვილის და ტ. ცხაკაიას პროექტით. კინოთეატრის პროექტის გადაწყვეტისას მისმა ავტორებმა გაითვალისწინეს საქართველოს ძველი დედაქალაქის არქიტექტურული თავისებურებანი. ახალი თეატრის გაფორმებაში მოხერხებულად გამოყენებულია ეროვნული კოლორიტი, მშენებლობის დროს მის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ძველი ძეგლების ზოგიერთი ელემენტი. **სურათზე:** ახალი ფართოეკრანიანი კინოთეატრი მცხეთაში.

ბ. კიკვაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ვინ ითამაშებს?..

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის უფროსობა მწვრთნელმა ევგენი გორბანსკიმ საკადესის კორესპონდენტს დაუსახელა ოცი მოთამაშე, რომლებიც მოემზადებიან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებ გუნდთან 5 სექტემბრის მომავალი მატჩისათვის. ესენი არიან მეკარეები **ვლადიმერ პილგუი** (მოსკოვის „დინამო“) და **ევგენი რუდაკოვი** (კიევის „დინამო“), მცველები **რევაზ ძოძუაშვილი** (თბილისის „დინამო“), **ვლადიმერ კაპლიჩნი** (არმიის ცენტრალური სპორტული კლუბი), **ევგენი ლევჩენი** და **სერგეი ოლშანსკი** (ორივე — „სპარტაკი“), **ვიქტორ მატვიენკო** და **მიხეილ ფომენკო** (ორივე — კიევის „დინამო“), ნახევარმცველები **ვლადიმერ მუნტიანი** და **ვიქტორ კოლოტოვი** (ორივე — კიევის „დინამო“), **იური ვახენინი** („ზარია“), **არკადი ანდრიასიანი** („არარატი“), **ვლადიმერ ფედოტოვი** (არმიის ცენტრალური სპორტული კლუბი), **ანატოლი კონკოვი** („შახტიორი“), **ოლეგ დოლმატოვი** (მოსკოვის „დინამო“), თავდამსხმელები **ოლეგ ბლოხინი** (კიევის „დინამო“), **ვლადიმერ ონიშჩენკო** („ზარია“), **ვლადიმერ გუცაევი** (თბილისის „დინამო“). **ანატოლი კოუეშიაკინი** და **გენადი ევრიუჟიხინი** (ორივე — მოსკოვის „დინამო“).

დიდ სტადიონებზე

აფრიკის ერთ-ერთმა უძლიერესმა გუნდმა — ზაირის რესპუბლიკის ნაკრებმა, რომელიც ამბასადურ ძატჩებს ატარებს ჩვენს ქვეყანაში, აჯერად მოსკოვში ითამაშა „სპარტაკთან“. პირველ მატჩში ლუსინგოადის „ზენიტთან“ სტუმრებმა, როგორც ცნობილია, მიიღწიეს ფრეს — 2:2. აჯერად საბჭოთა ფეხბურთელების უპირატესობა აშკარა იყო. „სპარტაკმა“ გაიმარჯვა დიდი ანგარიშით 7:0.

მოსკოვის „ტორპედოს“ ფეხბურთელებმა დაამთავრეს ტურნეი ამერიკის შეერთებულ შტატებში ქვეყნის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდთან — „ტორნადოსთან“ შეხვედრით. ანგარიშით 2:1 გაიმარჯვეს ტორპედოელებმა. მოსკოველთაგან გოლები გაიტანეს სოლოვიოვმა და დეგტიარიოვმა.

ჰოლანდიის ნაკრებმა ანგარიშით 8:1 (4:1) დაამარცხა ისლანდიის გუნდი. ეს იყო მსოფლიოს ჩემპიონატის ევროპის ძალთა ჯგუფის შესარჩევი მატჩი. სრულ მიმომხილველებს ასევე ამ შეხვედრაში უძლიერესი იყო ჰოლანდიელი კრუიფი, რომელმაც ორი ბურთი გაიტანა. ოთხი შეხვედრის შემდეგ შვიდ-შვიდი ქულით წინ არიან ბელგიისა და ჰოლანდიის ნაკრები გუნდები. ნორვეგიის ფეხბურთელებს აქვთ ორი ქულა, ისლანდიისას—ნოლი.

შვეიცარის ნაკრების დებიუტანტმა სვენსონმა ფინეთის გუნდთან ამხანაგურ მატჩში მსაჯის ფინალურ სასტვენამდე ორი წუთით ადრე გაიტანა ბურთი, რომელმაც გადაწყვიტა მატჩის ბედი. მხსი ნაკრების სასარგებლოდ — 2:1.

ბელგრადის წყალზე...

მსოფლიოს ჩემპიონატის წინ

იუგოსლავიის დედაქალაქში დღეს საზეიმოდ გაიხსნება მსოფლიოს პირველი ჩემპიონატი ცურვაში, წყალბურთსა და წყალში ხტომაში. ამ შეჯიბრებისადმი ინტერესი ძლიერ დიდია. საკმარისია ითქვას, რომ ბელგრადში შეკრებია სხვადასხვა ქვეყნის 500 კორესპონდენტი — გაზეთების, ჟურნალების, საგენტოების, რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენლები. შეჯიბრება ტრანსლირებულ იქნება ევროვიზიითა და ინტერვიზიით.

ხვალ გაიმართება წყალბურთელთა პირველი მატჩები, 2 სექტემბერს შეჯიბრებაში ჩაებმებიან წყალში მხტომელები, ხოლო 4 სექტემბერს სტარტზე გამოვლენ მცურავები, რომლებიც ჯილდოებს 29 კომპლექტს გაითამაშებენ.

საბჭოთა კავშირიდან ჩემპიონატში გამოვა ცისფერი ბილიკების 26 ოსტატი — ვლადიმერ ბურე, ნიკოლოზ პანკინი, ალექსანდრე სამსონოვი, იგორ გრიგენკოვი, ტატიანა ზოლოტნიცკაია, თამარ შელოფსსტოვა, ლიუდმილა პორუბაიკო. ალექსანდრა მეერზონი, ნატალია პოპოვა და სხვ.

აღსანიშნავია, რომ 15 მცურავი მამაკაციდან მხოლოდ ექვსმა მიიღო მონაწილეობა მიუხედავ ოლიმპიადაზე. ამჟამად ნაკრების საშუალო ასაკი უდრის 18,6 წელს. ქალთა გუნდის ასაკი კი შეადგენს 16,3 წელს.

წყალბურთელთა გუნდში 11 მოთამაშეა, რომელთა შორის 6 „ოქროს ოლიმპიელია“ — ანატოლი აკიმოვი, ალექსანდრე დრეგალი, ალექსანდრე ბარკალოვი, ვალიმ ქმუდსკი, ალექსანდრე კაბანოვი და ლეონიდ ოსიპოვი. მათი პარტნიორები არიან იური მიტიანინი, ვიტალი რომანიუკი, ნუგზარ მშვენიერაძე და სხვ.

წყალში ხტომაში საბჭოთა გუნდს 7 სპორტსმენი გამოკავებს. სათავეში მათ უდგანან ოლიმპიური ჩემპიონი ვლადიმერ ვასინი და ევროპის თასის მფლობელი თამარ საფონოვა.

ჩემპიონატი დამთავრდება 9 სექტემბერს.

„ვერცხლის ჯვარტეტი“

დიდი ველორბოლა ბარსელონის ახლოს

საბჭოთა ველოსიპედისტებმა იური მიხაილოვმა, გენადი კომნატოვმა, ბორის შუნოვმა და სერგეი სინიცინმა ბარსელონის ახლოს გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე საგზატეხილო რბოლაში 100 კილომეტრზე აჩვენეს 2 საათი, 5 წუთი და 11,8 წამი. უკეთესი დრო (2:03. 29,1) ჰქონდა მხოლოდ პოლონეთის გუნდს, რომელშიც გამოდიან ისეთი ცნობილი ველოსიპედისტები, როგორიც არიან რიშარდ შურკოვსკი, სტანისლავ შოზდა და სხვ. მესამე, „ბრინჯაოს“ ადგილზე გამოვიდა შვეიცის გუნდი — 2:06, 41,6.

ჩემპიონია „ვიმპელი“

სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება მოტრბოლში მოიპოვა პოლტავის „ვიმპელმა“. გამარჯვებულებმა ეს საპატიო წოდება გაიანდეს ვადაზე ადრე, როდესაც ანგარიშით 2:1 სძლიეს ჩვენი ქვეყნისა და ევროპის თასების მფლობელს, გასული წლის ჩემპიონს ელისტას „ავტომობილისტს“.

— უმალესს ლიგაში ჩვენ უკვე რამდენიმე წელია გამოვდივართ, — თქვა „ვიმპელის“ მოთამაშე მწვრთნელმა ლ. რუსაკოვმა. — გვქონდა წარმატებაც, ჩავარდნაც. ახლა ჩვენი მიზანია მერმისაც გავიმეოროთ წლევანდელი მიღწევა.

მიფრინავს „მოლნია-1“

საკოსმოსის ცნობა

1973 წლის 30 აგვისტოს საბჭოთა კავშირში გაუშვეს კავშირგაბმულობის მორიგი თანამგზავრი „მოლნია-1“, კავშირგაბმულობის თანამგზავრი „მოლნია-1“ უზრუნველყოფს შორეული სატელეფონო-სატელეგრაფო რადიოკავშირის სისტემის ექსპლოატაციას, აგრეთვე სსრ კავშირის ცენტრალური ტელევიზიის პროგრამებს გადასცემს უკიდურესი ჩრდილოეთის, ციმბირის, შორეული აღმოსავლეთისა და შუა აზიის რაიონებში განლაგებულ „ორბიტის“ ქსელის პუნქტებს.

თანამგზავრი გაყვანილია მაღალ ელიფსურ ორბიტაზე, რომლის აპოგეია 37.970 კილომეტრი ჩრდილოეთ ნახევარსფეროში და პერიგეა — 480 კილომეტრი სამხრეთ ნახევარსფეროში. თანამგზავრის მიმოქცევის პერიოდია 11 საათი და 19 წუთი, ორბიტის დახრილობა — 65,3 გრადუსი.

თანამგზავრზე იმ აპარატურის გარდა, რომელიც გადასცემს ტელევიზიის პროგრამებს და ახორციელებს შორეულ მრავალარხიან რადიოკავშირს, დადგმულია საკომანდო-გასაზომი კომპლექსის აპარატურა, აგრეთვე ორბიტის ორიენტაციის, კორექციისა და თანამგზავრის ენერგოკვების სისტემები.

მიღებული მონაცემებით, თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მოქმედებს. კავშირგაბმულობის სეანსები „მოლნია-1“ თანამგზავრის საშუალებით მოეწყობა დასახული პროგრამის შესაბამისად.

... ...

საზოგადოება და ოჯახი

ქარბად ახსოვს ნანა ნ-ი ის საღამო, როდესაც პატარა ზაია ეზოდან ძმა თვალკოეძლიანი მოვარდა, გულაღელვებული უამბობდა დედას, ძეზოალის პატარა ბიჭმა დათმი როგორ წაათოვა სათამაშო ავტომობილი და სახეშიც გაარტყა. ოოცა ხახამ მოინდომა სამაგალითო მეზღო, დათმ იგი ძეაშინა — თუ ხელს მახლებ, ვეტყვი ჩემს მაიკოს და ი